№ 37

17 გიორგობისთ. 1913 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

3 მან.

წლის დამლევამდე 50 კ.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

ფელიეტონი მეორე

რედაქცია ღიაა 10—1 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.

სარჩევი:

1. მარტივი საშუალება.— ა—ისა.
2. მამაშვილური რჩევა.— ნ. ნიკოლაძისა.
3. ილია ჭავჭავაძის ძეგლი.— . . . ახალმოსულისა.
4. ბრესა.
5. ქურთის ნატვრა.ლექსი— . . . . მაგმაძისა.
6. ბეგო. მოთხ.— დ. კასრაძისა.
7. ბერის მოსავალი. — სოფლის მეურნესი.
8. უკანასკნელი ამბები.
9. საქართველოს ახალი მიკრობი.— . . ნარისა.
10. ბატარა ფელეტონი.— გორელისა.
11. ბასტერის ინსტიტუტის იუბილეი.— მედიკისა.
12. სრ. რუსეთის მეურნეთა კრება ქ. კიევში.— . . . . . გ. ნამორაძისა.
13. გახსენებული.— . მაგმაძისა.
14. მაცივარი. — . დ. ამიერისა.
15. შეცდომა თუ ბლაგიტი?— . . . ნარგიზისა.
16. ნარევი.

მარტივი საშუალება

ჩვენი მიწათმფლობელობა განსაცდელშია. დღე არ გაივლის, რომ ქართველის მამული უცხოთა ხელში არ გადავიდეს. გაზეთები ახლოლოდ მსხვილ მამულების შესახებ ლაპარაკობენ, ისეთებზედ, როგორიც არიან ამას წინად გაყიდული მამულები თავ. ამილახვრებისა გორის მაზრაში და კაზელისა ბორჩალოში. მაგრამ გაზეთები არაფერს მოგვითხრობენ იმ წვრილ ოპერაციებზედ, რომლებიც დღითი დღე ხდება ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა ადგილებში. იყიდება არა მარტო დიდი მამულები, არამედ პატარა მამულებიცა. მაშასადამე მამულების პარტიობით ვაჭრობა მთელ საქართველოში სწარმოებს. ცხადია, ასეთი საქციელი ქართველ მემამულეთა თავისთავად ანტიპატრიოტული საქმეა. მაგრამ ჩვენ სიმართლეს უღალატებდით, თუ სხვა მიზეზთა შორის, იმ მიზეზზედაც არ მიუთითებთ, რომელიც ამასთანავე უმთავრეს მიზეზადაც მიგვაჩნია ამ არა სასურველი და დამღუპველი მოვლენისა. მთავარი მიზეზი ამისა ჩვენი მამულების შემოუსავლიანობა და დავალიანებაა. უკანასკნელი ნაჭერის გადასარჩენად მემამულე ხშირად იძულებულია სხვა დანარჩენი მამული გაჰყიდოს.

მიწათმფლობელობის სურათი ჩვენში ორნაირია. ერთი სავსებით შეეხება დასავლეთ საქართვე-

ლოს, მეორე აღმოსავლეთს. ქუთაისის გუბერნიაში მიწათმფლობელობის პარცელიაცია არსებობს და პარცელიაცია საუკეთესო სისტემაა მამულის შენარჩუნებისა. ჯერ კიდევ რეფორმების შემოღებამდე იქაურმა გლეხობამ მრავალი მიწა შეისყიდა. წვრილს მიწათმფლობელობას თან მოჰყვა კულტურის ინტენსიობა და მაშასადამე შემოსავალიც. დასავლეთ საქართველოს მამულებს ისეთი ფასი და შემოსავალი აქვთ, რომ იგი მძიმე იპოთეკასაც ჯერ-ჯერობით ადვილად იტანს. ეჭვი არ არის მამულები იქაც იყიდება, მაგრამ ეს აიხსნება აღებ-მიცემობის უნივერსალურ კანონით, და რაკი დასავლეთ საქართველოში უცხო ელემენტს ადგილი არა აქვს, მამულების გაყიდვა არავითარ ეროვნულ საფრთხეს არ იწვევს, იგი ისევ ადგილობრივ მკვიდრის ხელში გადადის.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს აღმოსავლეთი საქართველო, აქ გამეფებულია მსხვილი მიწათმფლობელობა. მემამულე ხშირად ვერ ახერხებს მიწის მოვლას, რადგანაც მისი მფლობელობა ვრცელია. შემოსავალი ყველგან ერთნაირი არ არის და არსებობს მთელი ზონები, სადაც დიდი ლატიფუნდიებიც კი არას იძლევიან. მაგალითად მაჩაბლების, ერისთვიანთი და ამილახვრიანთ ვრცელი მამულები, რომლებიც მთებში იმყოფება, შემოუსავლიანია, ვალი კი დიდი აქვთ ზედა. სახელმწიფო გადასახადი, საერობო ბეგარა, ბანკის ვალები ეს მარტო ხარჯია, გასავალი, რომელსაც ვერავითარი შემოსავალი ვერ გაისტუმრებს. ამას თან სდევს ის, რაც ასე ახასიათებს ყოველ მსხვილ მიწადმფლობელობას— უქონლობა ინტენსიურ კულტურისა. ფაქტია, რომ ქართლის ათი დესეტინა იმდენად ღირს, რაც ერთი იმერული დესეტინა. ქართლში მემამულეც და გლეხიც გაცილებით მეტსა ჰფლობს—ვიდრე იმერეთში, მაგრამ ბიუჯეტი უკანასკნელისა ხშირად გაცილებით ღონიერია. ასეთი განსხვავება მიწათმფლობელობისა განსხვავებულ შედეგსაც იწვევს და ამით აიხსნება, რომ ქართლის მამულები იყიდება. მაგრამ რამდენადაც მამულების გაყიდვა, ესე იგი ერთი მფლობელიდგან მეორის ხელში გადასვლა იმერეთში არავითარ ზარალს არ იწვევს, იმდენად საზარალოა ქართლში, რადგანაც აქ მყიდველი უცხო ელემენტია. ხდება ის, რომ სრულიად ბუნებრივი ეკონომიური მიზეზები ტერიტორიალურ კრიზისს იწვევენ.

ცხადია, რომ ქართლში დიდი ეკონომიური ბოროტება ხდება და ქართველობა ყოველის საშუალებით უნდა ებრძოლოს ამ მოვლენას. მაგრამ რითი? ჩვენის აზრით ამ საკითხის გადაწყვეტა ფრიად რთულია და უნდა ვერიდოთ ზერელე ზომების წამოყენებას. ჩვენში ხშირად იციან სხვა და სხვა ფონდებზედ ლაპარაკი და სრულებით გვავიწყდება, რომ ისეთ ღარიბ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ფონდებზედ და მეტადრე ისეთ ფონდებზედ ლაპარაკი, სადაც მილიონებია საჭირო, მარტო კეთილი სიტყვებია. უნდა ერთხელ და სამუდამოდ გამოვეთხოვოთ იმ აზრს, რომ ჩვენს უსახსრობაში, როცა საქართველოში არავითარი კაპიტალი, და მეტადრე თავისუფალი, არ არსებობს მიწის ფონდზედ ლაპარაკი შეუძლებელია. მაგრამ ჩვენ გვაქვს ერთი საშუალება, რომელიც, მართალია, მიწის ფონდის დაარსებაზედ არა ნაკლებ ძნელია, მაგრამ, რომელსაც სიადვილეც თან ახლავს, რადგან იგი სავსებით ჩვენს ხელშია. ჩვენის აზრით ჩვენი ხსნა იმ განსხვავებაშია, რომელსაც წარმოადგენს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მიწათმფლობელობა. უნდა მოეწყოს იმერელ უმიწაწყლო გლეხის ქართლში გადმოსახლება. ამ საშუალებით ჩვენ ვიხსნით არამც თუ მარტო ქართლსა, არამედ თვით იმერეთსაც. საქმე ის არის, რომ არვინ არ ფიქრობს რა საფრთხე მოელის თვით იმერეთს, იმის გამო რომ იქ მიწის ღირებულობამ დაუჯერებელ ფასებამდე მიაღწია. ეს გამოწვეულია მიწის სივიწროვით და ხალხის სიმრავლით და ამ გარემოებამ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება საშინელ კრიზისამდე მიიყვანოს იმერეთი. რაციონალური ეკონომიური სისტემა მოითხოვს მამულის შემოსავალსა და მის გასაყიდ ღირებულობის შორის ერთგვარი ჰარმონია არსებობდეს. იმერეთის მიწათმფლობელობას კი სწორედ ეს აკლია. გასაყიდი ფასი იქაურ მამულისა არავითარ დამოკიდებულებაში არ არის მის შემოსავალთან. რაჭაში დესეტინა მიწა ასი და ორასი თუმანი ღირს და ნამდვილად კი განა რა შემოსავალი აქვს რაჭის გლეხს? ყველამ ვიცით, რომ მიუხედავად მათის გამრჯელობისა - ნაქერალაზედ ლიმონებს ვერ მოვიყვანთ. მიწის ფასის ასეთი სიდიდე კი გადასახადების სისტემაზედ მოქმედობს და შორს არ არის ის დრო, როცა დასავლეთ საქართველოს მიწათმფლობელობაც ამ გადასახადების მსხვერპლი გახდება.

პირდაპირ განსაცვიფრებელია ის უნარი, რომლითაც დასავლეთ საქართველოს მკვიდრი მამულს იძენს. იგი სტოვებს დროებით თავის სამშობლოს, მიდის სამუშაოდ უცხო ხალხში და ქვეყანაში,

იტანს შიმშილსა და წყურვილს, მაგრამ კაპეიკს კაპეიკზედ ადებს და ფულს აგროვებს, რომ ამ ფულით მიწა შეიძინოს. აი დამახასიათებელი თვისება ჩვენის გლეხისა, რომელსაც ,,პროლეტარული მიდრეკილებანი'' სრულებით არ ეტყობა. ეს თვისება ფრიად საქებურია. და ისინიც, როგორც „მიწის მგლები' ისე დასუნსულებენ და ეძებენ მიწებს მთელ ქუთაისის გუბერნიაში. მაგრამ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ესენი არიან, რომ ხელოვნურად სწევენ მიწის ფასებს დასავლეთ საქართველოში და ეს იმ დროს, როცა აქ აღმოსავლეთ საქართველოში მიწა გაცილებით იაფია და შედარებით მეტიც. ჩვენ უნდა აუხსნათ ამ გლეხს და დავარწმუნოთ კიდეც იმ კომბინაციის სარგებლობაში, რომ ორას თუმნათ, რომლითაც რაჭაში მხოლოდ ერთსა ან ორ დესეტინას ყიდულობს, ქართლში ოცსა და ოცდაათ დესეტინას შეიძენს და ეს მიწები თუ უკეთესი არა უვარგისნი არ იქმნებიან. ეს იქმნება მშვენიერი საშუალება, ერთის მხრივ იმის წინააღმდეგ, რომ დასავლეთ საქართველოში ისე აღარ იზრდებოდნენ ფასები მიწებზედ, რაც ჩვენ მავნებლად მიგვაჩნია, როგორც ზევით აღვნიშნეთ, და მეორეს მხრივ ჩვენ გვეყოლებოდა ამ გლეხების სახით მზა კონტიგენტი, კანონიერი მიმღები იმ რეგალიებისა, რომელსაც ასე სასწრაფოდ იშორებს ფავიდან ჩვენი ბრწინვალე წოდება.

ჩვენ რომ დასავლეთ საქართველოს უმიწაწყლო გლეხს ამ კომბინაციის სარგებლობა შევაგნებინოთ და საზოგადოთ ასეთ აგრარულ პოლიტიკას დავადექით, მას სხვა შედეგიც ექმნება, ჩვენი მძიმე მდგომარეობა იმით არის შექმნილი, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ქართველობას მალე უცხო ელემენტი გადააჭარბებს. ეს უცხო ელემენტი ჩვენში აკრესიული ელემენტია, რომელთანაც სასტიკი ბრძოლა გვიხდება და ამ ბრძოლაში ეროვნულ ძალების რაციონალურ განაწილებას უპირატესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ უნდა მოვიქმედოთ უბრალო არითმეტიკული ოპერაცია-გამოკლებისა იქ, სადაც ბევრნი ვართ და გამრავლებისა იქ—სადაც ცოტანი

ა-ი.

მამაშვილური რჩევა

(წერილი ,,ცნობის ფურცლის'' რედაქტორთან) *)

—,,მამებო, მოკვდითო?'' გაჰკივის ,,ცნობის ფურცელი'' (№ 2735) ბ. სიტყვა, მაგრამ თან ისეთ საზიზღარ სურათს გვიხატავს ამ მამებისას და მათი სიტყვების საქმესთან უთანხმოებისას, რომ გაუგებარია—რად სწყინს მათი სიკვდილი, ან რად სურს მათი საფლავიდამ ადგომა? ზოგი მკითხველის აზრით, იმ ,,პატრიოტების მამების, ჩვენებური ძველი მოღვაწეების'' შუა, რომელთაც ბ. სიტყვა ხატავს, მეც უნდა ვიგულისხმებოდე, თურმე. ასე თუა, ნება უნდა მიბოძოთ მოგახსენოთ რამდენად სიმართლეს მოკლებულია ბ. სიტყვასაგან დახატული სურათი. ისეთი დრო დადგა დღეს, როცა კაცს საკუთარი მოქმედების, ან უმოქმედობის პასუხისგებაც ჰყოფნის. ვინც დღეს ვისიმე სურათის ხატვას ჩემობს, ის ვალდებულია ხელოვნების უმთავრესს კანონს არ უღალატოს: ნამდვილთან სისწორეს. კარიკატურას როგორც ლათაიას და ასკინკილას – ადგილი როდი უნდა ჰქონდეს ამ ,,განკითხვის დღეს,'' მით უფრო ისეთ საქმეში, საცა კარიკატურა ცილისწამებაც გამოდის.

ბ. სიტყვა ,,ჩვენებურ ძველ მოღვაწეებს'' აბრალებს ,,არამც თუ არაფერს ამბობენ და გაჩუმებულან მკვდრებივით, მალავენ და მარხვენ იმას, რაც უთქვამთ და გაუკეთებიათ წინადო.'' გესმისთ ეს

*) ეს წერილი მოგვივიდა ბ-ნ ნ. ნიკოლაძისაგან და თუმცა, როგორც თვითონ ჰატივცემული ავტორიც გვეუბნება კერძო წერილში – ,,ამ ახლანდელ დროისთვის, ამ ხანის მდგომარეობისთვის მას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება: ახლა ჩვენს ერს სულ სხვა საქმე, საგნრობა და მოქმედება უდგვს წინ: ეთვალ ახალ მდგომარეობას ახალი ტაქტიკა შეეფერება'',—მაინც ვფიქრობთ, როგორც ძვირფასს ისტორიულ მასალას. ,,იგი აჩვენებს მომავალ გამომძეველს ჩვენის წარსულისას, თუ კარგმწყვეტ მომენტებში ჰოლიტიკური ცხოვრების ბრუნვისა, რომელი მოაზრე რას ფიქრობდა და ქადაგებდა ჩვენში, რა გზას უჩვენებდა ჩვენს ერს და მწერლობას.''

ბ-ნ ნიკოლაძის წერილი, შედგენილი 7 თებერვალს 1905 წელს, თავის დროზედ ვერ დაიბეჭდა. ახლა კი შეუცვლელად ისტამბება იმ ხანის დედნიდან.

რედ.

სამდურავი? მე კი ვერ გამიგია! თუ დღეს გამოსათქმელად ვარგებულა უწინდელი ჩვენი ნათქვამი, ძველი კი არა, ამ დროის მოქმედი პირები, თანამედროვე მოღვაწეები გხლებივართ. მარტო ასაკით ხომ, არ განირჩევა ძველი მოღვაწე ახლისაგან. იმდენი წელი გასძლოს თქვენმა გაზეთმა, რამდენი ახალგაზრდა ძველ აზრებს ემსახურებოდეს, ან რამდენი მოხუცი თავს სდებდეს ახალი წესებისთვის! არ მესმის კიდევ ვის შეუძლია თავისი ნაღვაწის დამალვა? თუ მართლა ვმარხავთ სახეირო რასმე, თქვენ ვინღა გიშლის მის ამოთხრას და გავრცელებას? რიგიანი მწერალი თავის მოაზრებას ერთხელ გამოთქვამს ბეჯითად. დიაკვანი ხომ არაა, სიკვდილამდი ერთს და იმავე ალილუიას იმეორებდეს?

,,არაფერს ამბობენო, მკვდრებივით გაჩუმებულანო'' ბ. სიტყვა მიტომ ბრძანებს, რომ მის ბედნიერ ასაკში კაცს, მოქმედებად, დედა-მიწის ღერძად ზეცის ბოძად მარტო ის საქმე მიაჩნია, რომელსაც თვითონ ემსახურება. თუ ამ განვითარების კაცი მწერლობს, მის თვალში საზოგადო მოღვაწეობად მარტო მწერლობა სჩანს: ერს, ქვეყანას, მომავალს მეტი არც საქმე აქვს, არც რამე სჭირია. ზანგივითაც რომ შრომობდე დღე-და-ღამ საზოგადო ასპარეზზე, ხალხის მინდობილობით, ქვეყნის სასარგებლოდ, გინდ უღალავ ძალას და უთვალავ ხერხს იჩენდე ამ საერო სამსახურში, ნუ გგონია ამ ყმაწვილებმა ,,მოღვაწედ'' ჩაგთვალონ. მოღვაწე მათი აზრით მარტო ისაა, ვინც ,,სტატიებს'' სწერს სხვის დედანზე, ან ძველ ლექსსა გრეხს ახალ კილოზე. სხვა ყველა მკვდარიცაა და გადამდგარიც. ღმერთს მადლობა შესწირე, თუ მოღალატეც არ დაგარქვეს, ან სხვა რამე უარესი, რაც ატაცებულ ყმაწვილს ენაზე მოადგება. ბედნიერ ასაკს ასე სჩვევია. ნეტავი მას! მაგრამ ვაი იმ ერს, ვის მწერლობაშიც ამ განვითარების პირები—კანონსა სდებენ!

საზოგადო საქმეში ძველ მოღვაწეებზე უფრო მეტი დ-ახაც ახლებს უნდა შეეძლოს და მოეთხოვოს. ეს ბუნების კანონია: ახლებს, საკუთარი ღონის გარდა, ის ძალებიც ეხმარება, რაც ძველებმა დაამარაგეს, და სხვა, ბევრად უფრო თვალსაჩენი, ძალები საზოგადო წარმატებისა, დროის ბრუნვით დანაბადი. ამას გარდა —,,ის ვარგა მამულისათვის, შვილი რომ სჯობდეს მამასა,'' და ღმერთმა ხომ იცის, რომ ძველს მოღვაწეებს ეს მხურვალედ და გულწრფელადა სურთ. ახალი მოღვაწეები, სამდურავის მაგიერ, კიდეც უნდა ემადლიერებოდნენ ძველებს: ჩვენ მათ ხელს მაინც არ ვუშლით და წინ როდი ველობებოდით, თუმც ბევრს არა თუ წვრილმანს, არსებით საგანზედაც სულ სხვა აზრისანი ვართ. ბ. სიტყვას ჩვენი მწერლობის წარსული გაცნობილი რომ ჰქონდეს, ეცოდინებოდა, რა მტრულად და გამცემლად მოგვექცა-ჩვენი შრომის დასაწყისში —ის თაობა, რომელიც ჩვენს წინ საზოგადო ასპარეზზე მოქმედებდა საქართველოში...

აი, რა მიზეზით მოგახსენეთ--არ მესმის მეთქი ბ. სიტყვას საყვედური. მგონია კედეც, ღრმად რომ დაჰკვირვებოდა თავის ნაბრძანებს, ის მალე მიაგნებდა მის უსაფუძვლობას. იმასაც გაიხსენებდა მაშინ, უეჭველია, რომ ნამდვილი მოღვაწე როდი კვდება ხოლმე. ბევრ ,,ცოცხალ'' ვაუბატონებზე უძლიერესად მოქმედობენ, დღესაც. ქვეყანაში ისეთი მოაზრენი, ვისიც ძვლები კაი ხანია მტვრად ქცეულა სამარეში!

საყვედურს, მოღვაწის ღირსების ახდას, ვინღა სჩივის! ბ. სიტყვა ძველ მოღვაწეებს ამას როდი აჯერებს. ის მკითხველს არწმუნებს, ვითომ ძველი მოღვაწეები ეხლანდელი მოძრაობის შესახებ აი რა რჩევას აძლევენ ხალხსაო:

,,როგორ შეიძლება, რომ ქართველებმა ახლა ხმა ამოვიღოთ, ეს მთლად დაღუპავს ქართულ საქმეს. ჩვენ არ გამოგვადგება, რომ წინააღმდეგობა გაუწიოთ. ჩვენ უმორჩილესის თხოვნით უნდა მივმართოთ ხოლმე, მაგრამ, რადგან დღეს მთავრობას ჩვენთვის არა სცალია, უნდა კავჩუმდეთ. ბიუროკრატიის იმედი უნდა გვქონდეს, სხვისაგან არაფერი გვედირება. წარმოიდგინეთ, ჩვენში რომ ბიუროკრატია მოისპოს, სომხები ხომ შეგვჭამენ. სიფრთხილე ჰოლიტიკაში საუკეთესო თვისებაა,'' და სხვ.

რამდენად საკადრისია მწერლობაში სხვისი აზრის ამგვარი დამახინჯება ამის გარჩევის დრო ვისა აქვს დღეს? *) ამავე მიზეზით, დაე, თქვენი ჭირი წაიღონ ძველმა მოღვაწეებმა და მათზე სინიდისიერად მსჯელობამ: ქვეყანა მათი შეურაცხყოფით როდი დაიქცევა. საწყენი აქ უფრო ის არის, ვაი თუ ამ წყეულ ძველ მოღვაწეებს, სადმე მიყრუებულ ადგილებში, დამჯერი ვინმე შერჩენოდეთ! რას აფიქრებინებს, რას აქმნევინებს ამ უბედურებს ის რჩევა, რომელსაც ბ. სიტყვა ძველ მოღვაწეების სახელით ხალხში ავრცელებს? ვაი თუ მართლა გაამ-

*) თუმც დღეს (1913) დრო არის ამის გარჩევისათვის, მაგრამ დღესაც არა ღირს, რადგან ასეთი ფანდები არც დღესაა ნაკლები.

რედ.

რიყვოს ვინმე ამ რჩევამ და განზე გადაუყენოს ეხლანდელ მოძრაობას, ამ დროის საჭიროებას? მომაკვდინებელ ცოდვად არ უნდა ჩაითვალოს თუნდ ,,ერთის მცირეთა ამათაგანის'' ამგვარი შეცდენა?

ამისთანა რჩევის გამოთქმა არც ძველს, არც ახალს მოღვაწეს ეპატივება დღეს, თუნდ სახუმაროდაც. დღეს ისეთი დროა, რომელიც საუკუნეში მარტო ერთხელ დგება ხოლმე. მიწა იძრა, ძველი გზა და შენობა დაიქცა, და ახალი ჯერ ნათლად არავისთვისა სჩანს. ამ უცნაურ მდგომარეობაში საზოგადო მოღვაწეებს მძიმე მოვალეობა და პასუხისგება აწევს ერისა და შთამომავლობის წინ: ხალხს უნდა გამოუძებნონ მტკიცე, უტყუარი გზა შველისა და წარმატებისა. დროშა უნდა აღმართონ დაფანტული ხალხის შესაკრებად, ხიფათის ასაცილებლად და უმჯობესი მომავლისკენ წასამართავად. ნუ თუ ამ დროს, ამგვარი დროშის გამოტანის მაგიერ, ერთი მოღვაწე ან დასი მეორეს უნდა ეკინკლავებოდეს, და, ერთობის მაგიერ, განხეთქილებას სთესდეს? მერე რა ფუჭ საგანზე: ჩვენ შევძარით დედა-მიწა თუ თქვენო?

მიწის ძვრას, ბატონო, ვერც ჩვენისთანა, ვერც —გავბედავ თქმას — თქვენისთანა ვაჟბატონი მოახერხებს. ჩვენ ღმერთმა იმ სიდიდე ღონე გვაღირსოს, რომ გამოკვლევა შევიძლოთ თუ რა მსოფლიო ძალებს უმოქმედნიათ ამ შემთხვევაში და რითი ავიცილოთ თავიდამ მათი მავნე გავლენა? თუ თავის მოტყუება და ხალხის შეცდენა არა გვსურს, უნდა ბეჯითად გვახსოვდეს, რომ ჩვენს მხარეს არც გაძლიერება, არც შეჩერება შეუძლია ამ მოვლენისა. მეტსაც მოგახსენებთ, თუ არ გამირისხდებით: არც საჭიროა ჩვენის მხრით მიწას ვებღაუჭოთ, მის შესაძრავად. უამისოდაც, უმსხვერპლოდაც, შეგვიძლია, თუ არ დავიბენით, ვნებას ავცდეთ და უმჯობესი მომავალი დავიმკვიდროთ.

თუმც უწინ, როცა ჩვენი ,,ძველი მოღვაწეები'' მწერლობაში შრომობდნენ, ისინი ერთ დასს როდი შეადგენდნენ და სხვა და-სხვანაირ მიმართულებას ემსახურებოდნენ, დღეს გარემოებამ, საჭიროებამ, გამოცდილებამ, არა თუ მარტო ისინი, სხვა, ახალი მოღვაწეებიც—როგორც ყველა მიგნებული ადამიანი ჩვენში- დაუახლოვა ერთ და იმავე პოლიტიკას, რომელიც თან-და-თან უფრო-და-უფრო მეტს მომხრეს შოულობს ჩვენში. ნება მიბოძეთ გაგიმხილოთ—რადგანც ჩვენი მწერლობის და საზოგადო მოძრაობის წარსული ჯერ ყველასათვის უცნობია—ამ პოლიტიკის დედა-აზრი და ისტორია: ამით უფრო სწორედ და ნათლად გამოჩნდება რას ურჩევდნენ და ურჩევენ ხალხს ის ძველი მოღვაწეები, რომელთაც ასე დაუღალავად — და უმიზეზოდ—სდევნის ბ. სიტყვა.

მოგეხსენებათ ჩვენი მწერლობის და საზოგადო მოძრაობის უმთავრესი თვისება: ყოველს ახალ თაობას შეუცვლელად შემოაქვს შიგ, რაც რუსეთში ან ევროპაში მის დროს უფრო მოწონებულ მიმართულებად ითვლება. ასე, ზესტაფონის ახალგაზრდა ქალები ნიადაგ უკანასკნელი პარიჟელი მოდის შლიაპებით თავს იმშვენებენ. შეეფერება თუ არა ეს თავსახური ჩვენებურ მზეს, ქარს, ტანსაცმელს, ამას ვინ დასდევს? კარგად გახსოვთ, რა და რა ,,მიმართულება'' არ შემოღებულა ამ ნაირად ქართულ მწერლობაში, ნაციონალურიდამ დაწყებული სოციალურამდი.

როგორც თავსახურის და ტანსაცმელის ავკარგობას გამოსცდის და დაამკვიდრებს ბუქი, სიცხე თუ ავდარი, ისე სხვა-და-სხვა მიმართულებათა შუა ამრჩევი და გამსაჯველია ისეთი გასაჭირი, როგორიც დღეს ჩვენს ქვეყანას და მთელს რუსეთს ადგია. რომელი მიმართულების დროშა გამოდგა ამ დაბნეულ დროს შველის დროშად, და რომელი —დაღუპვისა?

ვისაც ჩვენი ქვეყნის მწერლობა (ქართული და რუსული) ისტორიულად გაცნობილი აქვს, ის დამეთანხმება, რომ დღეს ყველა მოღვაწეს, ძველს და ახალს, ყველა წოდებას, ყველა ეროვნებას ჩვენს ქვეყანაში ის დროშა უფრო იზიდავს, რომლის აფრიალება პირველად მე მეღირსა ,,დროებაში,'' 1870-ში, და რომელზედაც მარტო ორი სიტყვა ეწერა: ,,ე რ თ ო ბ ა. თ ვ ი თ მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა.'' ეს დროშა მით იმარჯვებს, რომ გარეგან მიბაძვით კი არ არის შემოღებული, შინაური ნაკეთებია, ჩვენი ქვეყნის საჭიროებაზეა გამოჭრილი*).

ნ. ნიკოლაძე.

(დასასრული იქნება).

---

*) ეს მდგომარეობა ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ მალე შეიცვალა: რაც უფრო და უფრო კლებულობდა, ომიანობის შედეგად, მთავრობის ბრესტიჟი, მით უფრო თითოეულს ჩვენგანს, ეოველ კავკასიელ ჰირსა, ერს და ჰარტიას, ძველებური გრძნობა მოერია, ვეოოშ და ,,მე ვარ და ჩემი ნაბადი, კამოუნეულელი დამისო''. ბაქოს სისხლის-ღვრის ამბავიც ამ წერილის შედგენის შემდეგ მოვიდა.

მერმინდელი შენიშვნა.ავ.

ილია ჭავჭავაძის ძეგლი

როდესაც ადამიანი სამშობლოს მოშორებულია, მისი გული იქნებ მუდამაც მისკენ იწევდეს, მაგრამ ისე ჰარმონიულ ცემას კი ვერ შეუწყობს სამშობლოს ცხოვრებას. აი ამის ბრალი იყო, რომ უცხო ქვეყანაში მყოფი კარგად ვერ ვაძლევდი ანგარიშს ყველა მას, რაც საქართველოში ხდებოდა, თუმცა აქაურს პერიოდულ გამოცემებს კი თვალყურს მუდამ ვადევნებდი. მუდამ დიდია განცდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი უშუამავლოდ ჩაბმულია ადგილობრივ ცხოვრებაში. წელს ილიას საღამოს დავესწარი, და ბ. ლექტორმა რომ ხმამაღლა წარმოსთქვა, ჩვენ მოვკალით ილიაო, ჟრუანტელმა დამიარა, მეგონა შეთქმულნი შევყრილვართ საიდუმლო კრებაზედ, ყველანი ვცდილობთ ეს მკვლელობა დავფაროთ და ეს კი ხმა-მაღლა ამბობს ამაზეო, მეგონა, თვით პირადად მე ვიყავი დიდებული ილიას მკვლელი მეთქი.

აქამდის სამშობლოს დაშორებულმა მხოლოდ იხლა ვნახე ილიას ძეგლიც. როდესაც დიდებულ ადამიანს ძეგლს უდგამს მთელი ერი, და საზოგადოთ ყოველი ნამდვილი ძეგლიც, მე წარმოდგენილი მაქვს, როგორც ჭეშმარიტი ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები, და არა ყოველივე გამოხატულება ბრინჯაოსი, თუჯისა ან ქვისა ვისიმე ზედ-წარწერით, თორემ ამისთანა ,,ძეგლები'' ხომ ყოველ სასაფლაოზედ შეგხვდებათ აუარებელი, და მასა ნახავს მხოლოდ ის, ვისაც აინტერესებს ზედ-წარწერა ან ის პირი, ვისი ძეგლიც სდგას, ხოლო სხვები ვერც კი შეამჩნევენ მას, ან შეამჩნევენ იმდენად, რამდენადაც ამჩნევენ ქუჩაში სიარულის დროს ტელეფონის ბოძებს: რომ არ ღაეჯახონ მას.

ნამდვილმა ძეგლმა კი ერთი წუთით მაინც უნდა მიიზიდოს თქვენი თვალი და მიიპყრას ყურადღება.

ამისთვის ის უნდა უწინარეს ყოვლისა იყოს მხატვრული, ე. ი. იძლეოდეს განსაკუთრებით შეთანხმებას ხაზთა და რაოდენობის გრძნობას (особое сочетаніе линій и чувство массы), რომ ლებიც ორგანიულად უნდა ერთდებოდნენ გარემო მდებარეობასთან, აძლევდნენ მას ახალს, უფრო მთელს აზრს და ღირებულებას. აი ამგვარი ძეგლია ბოგდან ხმელნიცკისა კიევში. რომელი მხრიდგანაც გინდათ შეხედოთ,—ყოველთვის ცაზედ იხატება ლამაზი, სიცოცხლითა და მოძრაობით სავსე, სახებრივი (узорный) სილუეტი მისი. ასეთივეა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ძეგლი უნივერსიტეტის წინ. აქაც მისი მკაცრი, უბრალო სახე სრულ ჰარმონიას ჰქმნის მის მიერ აშენებული უნივერსიტეტის სტილთან, და აძლევს დამთავრებულობას, ცენტრს იმ პატარა ბაღსაც, რომელშიაც იმყოფება, აფერადებს მისს ერთგვარად გაჭიმულ ხეივნებსაც.

მეორე პირობა ძეგლის სიკარგისა ის არის, რომ იმან არა თუ **პორტრეტულად უნდა გადმოიღოს** გამოქანდაკებული პიროვნება, არამედ **უმთავრესად უნდა აჩვენოს** იგი, გამოააშკარავოს იდუმალი, მარადისი, ნუმენალური.

აქ იგივე განსხვავებაა, რაც ფოტოგრაფიულ სურათსა და პორტრეტს შუა, რომელიც დიდი მხატვრის ნაწარმოებია. სურათი შეიძლება ძალიან კარგი იყოს, არაჩვეულებრივ მიმგვანებული, უფრო მეტადაც, ვინემ პორტრეტი, მაგრამ იგი მაინც მხოლოდ დროებითსა, შემთხვევითსა და გარდამავალზედ გვიჩვენებს, და ამიტომ მას ფასი აქვს მხოლოდ ნათესავებისა და ახლო მეგობართათვის.

პორტრეტი ხელოვანისა— როგორც ტიციანია, ვანდეიკი, გალსი, ან თუნდ ზოგიერთი პორტრეტები რეპინისა სრულიად არ ითხოვენ ორიგინალის პირად ნაცნობობას, როგორც არ ითხოვს ამას რამზეს II ქანდაქება, რომელიც, ათასი წლებით ჩვენგან დაშორებული, თვისი უკვდავი ღიმილით მეტს გვეუბნება, ვინემ ასი ჭკვიანი წიგნი.

დაბოლოს ძეგლი უნდა იყოს **შესამჩნევი**, არა მხოლოდ გარეგნულად, არამედ შიგან—მონუმენტალური. უკვე თვით ის ფაქტი, რომ იგი სდგას ჩვეულებრივ ქალაქების ქუჩებსა და მოედნებზედ ცხოვრების ხმაურობას და ხალხის ამაოებას შორის, მას აიძულებს იმეტყველოს ქუხილ მაგვარი ხმით, რომ უსმენდნენ მას. ამგვარი ძეგლები ძალიან იშვიათია. მხოლოდ ალექსანდრე III ძეგლი პეტერბურგში და, როგორც აღწერით ვიცი, ბისმარკის მონუმენტალური ძეგლი თუ იქნებიან ამისთანა. და აკი ამიტომ შეიძლება კამათი იყოს მათს შესახებ, ზოგს არ მოეწონოს, მაგრამ ეს ძეგლი მაინც აიძულებს ადამიანს ყურადღება მიაქციოს მას, გააჯავრებს, აღიტაცებს, აცინებს, აგინებინებს, განაცვიფრებს, ხოლო უყურადღებოდ დატოვება მისი კი არ შეიძლება.

ამ ძეგლის ,,ინდივიდუალობა'' უსათუოდ მოითხოვს განსაზღვრულ დამოკიდებულებას, აიძულებს ასე თუ ისე უკუ აგდოს ადამიანმა თვისი ცხოვრე-

ბისთვის მრჯელობა, მოუსვენრება, ვარამი, საქმიანობა და მიეცეს მის მიერ შექმნილ ემოციათა, შთაბეჭდილებათა, განცდათა, ფიქრთა და იდეათა სფერაში.

ამგვარი უნდა იყოს ნამდვილი ძეგლი დიდებული ადამიანისა. ასეთივე ძეგლი ეკუთვნოდა ილია ჭავჭავაძესაც. იგი უნდა მდგარიყო სადმე შუა ქალაქში, რომ ყოველ წუთს ჩვენი სულისა და გულისთვის თავისი დიადი აზრები ექადაგნა. ეხლა... ეხლა კი მისი ,,ძეგლი'' მხოლოდ ,,სასაფლაოს ქვაა'', რომელიც თითქმის არც კი გაირჩევა სხვა ირგვლივ სასაფლაოთა ძეგლებისაგან. სამწუხაროა, რომ მთელმა ქართველმა ერმა ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ამ გვარი ,,ძეგლის'' დადგმა მოახერხა, და ეს მხოლოდ მაჩვენებელია ჩვენი საზოგადო და ეროვნული ცხოვრების სიღატაკესი.

ახალმოსული

ᲕᲠᲔᲡᲐ

თბილისში ამ დღეებში გამოვიდა სოც.-დემოკრატების ახალი საორშაბათო გაზეთი „ფიქრი", რომელიც ერთ თავის წერილში შეეხო ილ. ჭავჭავაძის თხზულების ახალ გამოცემაში მოთავსებულ გრ. ყიფშიძის მიერ ილიას ბიოგრაფიას, უსაყვედურებდა გომართელს მის დაბეჭდვას და სხვათაშორის ამბობდა: „მესამე დასიც და მისი იდეალებიც ბ. გომართელმა დიდი ხანია მოიტანა გასასყიდად ჩვენი მოწინააღმდეგეთა სამსხვერპლოზეო''. ბ. გომართელმა სრულიად ჭეშმარიტი სიტყვებით უპასუხა მათ:

> სიმართლეს მე ეგვლას მოვუწონებ, სიყალბეზე კი კვერს არავის არ დავუკრავ.
>
> მესამე დასის სიყალბეს ეროვნული საკითხის აბუჩად აგდება შეადგენს, მე ეს ბევრჯელ მითქვამს და ვიტყვი. ეროვნული საკითხის უარეოფაა უმთავრესი მიზეზი დასის დამარცხებისა ქუთაისის გუბერნიაში.
>
> თბილისის გამარჯვება ჩემთვის დამარცხებაზე უარესია. შემდეგში კიდევ მეტი დამარცხებაა აუცილებელი, თუ დასმა ეროვნული საკითხი ჯეროვანის უურადღებით არ გადასწრა.

ბ. გომართელი თითქმის ერთად ერთი ნათლად მოაზროვნე კაცი ჰყავთ მესამე დასელებს, იმან კარგად იგრძნო, რა დიდი დანაშაულია ეროვნული საკითხის უკუ გდება, როგორც ამას ს.-დემოკრატები სჩადიან, იგრძნო, რისთვის დამარცხდნენ ისინი ქუთაისში სათათბიროს არჩევნების დროს, და რომ თბილისის გამარჯვება სომხის პლუტოკრატიასთან ერთად გამარჯვებად არ ჩაითვლება, ყველა ეს ამხილა მან, და იგიც ამოიმძულარეს მათ და სცდილობენ ყოველგვარი ცილისწამება მოახვიონ თავზედ. განა ასე როგორ უნდა სძულდეთ ეროვნული საკითხი და მისი ჭეშმარიტი გარკვევა მესამე დასელებს!

*
* *

ბ. გომართელის პასუხს მეორე გაზეთი მესამე დასელებისა ,,მერცხალი'' თავისებური მარგალიტებით შეხვდა, რენეგატის სახელით მონათლა იგი. წერილის ავტორი ყველაზედ უფრო იმას გაუჯავრებია, როგორ თუ სათათბიროს არჩევნებში დავმარცხდითო, და სხვათა შორის სწერს:

> ,,თბილისის გამარჯვება ჩემთვის დამარცხებაზედ უარესიაო, ამბობს გომართელი. ნეტავი რისთვის? იმისთვის ხომ არა, რომ კარლო ძხეიძის კანდიდატურისა და მისი წამომყენებელი დასის გარშემო თავი მოიყარა **სხვა და სხვა ერის მუშებმა, გლეხებმა და ქალაქის დემოკრატიამ**! (კურსივი ჩვენია).

ნეტა ეს სხვა და სხვა ერის მუშები და ქალაქის დემოკრატია ვიღაა? სხვა ერის მუშები ალბად ხატისოვი და მილოვია, ხოლო მესამე დასთან არჩევნებში მომქმედი ეს ხომ დანარჩენი სოლოლაკელნი არიან. ნუ მოგეშალოთ მაგათთანა დემოკრატიასთან მეგობრობა!..

ᲥᲣᲠᲗᲘᲡ ᲜᲐᲢᲕᲠᲐ*)

(ჩაწერილი ქურთის სოფელ შამირამში)

> რომ მანატრა, ვინატრებდი
> ჩემთვის: ჭკუას ინგლისელის,
> ხვანთქრის ოქროს, არაბულ ცხენს,
> ხმალს, გაჭედილს ხვარასნელის.
>
> —
>
> რომ მანატრა, ვინატრებდი
> მისთვის, ვინც მე მიწევს მტრობას:
> ქართველთ ჭკუას, რუსის სინდისს
> და სომხისა მეგობრობას?

მაგმაძე.

---

*) ეს ლექსი მივიღეთ ერთ ქართველ მოღვაწისაგან პასუხად ჩვენ ჟურნალში დაბეჭდილ ამბისა ბ-ნ კეზელისაგან გაყიდულს მამულზედ.

ᲑᲔᲒᲝ

(საშეშოდგომო იდილია)

* * *

...და ნაღვლიანად გაჰყურებდა ბეგო შორს სივრცეს. დაშაშრულ კლდეზე ჩამომჯდარი იგი ღრმა ფიქრებს მისცემოდა. მას ცხვარიცკი მიჰვიწყებოდა, რომელიც იქვე ფერდობზე გაშლილიყო და მძაფრი ტუჩების ცმაცურით გაფაციცებით სწიწკნიდა გაყვითლებულ მოქაჩლებულ ბალახს. მისი მურიაც აქვე იწვა. ტოტებშუა ცხვირი ჩაეყო და ჭკვიანი თვალებით მიშტერებოდა თავის პატრონს, თითქოს ჰსურს მისი საიდუმლო ნაღველი მის სახეზე ამოიკითხოსო. მაგრამ ამაოდ: დამუნჯებული ბეგო ღრმად ჩაკარგულიყო იდუმალების უფსკრულში, თითქოს სილსილეს სფინქსი ყოფილიყოს.

რას დაღონებულ ხარ; ეკითხებოდა კლდოვანიდან ჩარდახად გადმოკიდული კუნლის ჩირგვი, რომლის მწვანე კარავს აქა-იქ შევარაყებული ფოთლები გამორეოდა და ნელის ცვენით ისე ეხლართებოდა ბეგოს აბურძგნულს თმას, როგორც ძველი დროის გამარჯვებულ კეისრის გვირგვინი.

ჰო და რათა ხარ ნაღვლიანად, — ხელახლად შეეკითხა იგი, — შენ ხომ ამ ქვეყნის მეფე ხარ. ნუთუ ისეთი რამე გეწვია, რასაც შენი დაძმარება შეეძლებოდა? მე რას მიყურებ, ჩემო კარგო. თუ რომ კაეშნით შემიკრავს შუბლი, ეს იმიტომ, რომ მომავლის შიში მაქვს, ვხედავ ჩემს უბედურებას, ზამთრის მოლოდინში სამოსელი როგორა მცვივა. შენ? შენ რაღას დარდობ? გამხიარულდი, გამხიარულდი ბუნების მეფევ! სთქვი რამე, თორემ ამ სევდის სამეფოს ოხვრის გვირგვინი არ ეკერვება, გეფიცები ჩემს ზამთრის ძილს!

მართლაც შემოდგომის ნისლით მობურულს ჰაერში გაცრეცილ ფოთლების გოდების მეტი არა გაისმოდარა. ეს იყო ერთგვარი სასაყვედურო ჰიმნი, რომელიც პირველ დაკვნესებისთანავე მოსწყდა მსოფლიოს და ისე გადიკარგა სივრცის უბეს როგორც ღალატის წანამგრძნობ ქალწულის ტუჩთა გამოსათხოვარ კოცნის სევდიანი სალამურის ხმა. ბეგო უაზროდ შეჰყურებდა ამ უკანასკნელთა სულთა ბრძოლას, როდესაც სისხლ-გამშრალნი თავ გზა არევით დაბორიალებდნენ თავიანთ ძველს სადგომების გარშემო და შიშველ გულმკერდს თამამად აგებებდნენ ქარის ბასრს ისრებს, რომ რაც შეიძლება სასტიკ ჭრილობათა მეტი სიმწვავე ეგრძნოთ, რათა სიცოცხლის მშვენიერება უფრო სიცხადით აღბეჭდილიყო მათ მიბინდულ თვალთა იერზე. არა, ბეგოსთვის უქმი იყო სიცოცხლისა და სიკვდილის ბრძოლის სანახაობა, გიჟური ლტოლვა მომაკვდავთა სიცოცხლისადმი, რომელიც ყორნის ფრთის წვერით იბეჭდებოდა ნისლის ლეჩაქით გამოკვალთულ ხომლის კალთებზე.

კუნელს ასკილიც მიემატა. მედიდური იყო მისი კილო. აქაო და დალესილი ეკლებით დაცული მაქვს მარჯანა ნაყოფი, თავზე ბუზს აღარ ისვამდა, ზამთარი ვერას დამაკლებსო.

შენ ეი, ბუნძგლია, — გადმოსძახა ბეგოს, — თუ რომ მოსულხარ ჩვენთან სტუმრად, იმხიარულე, თუ არა — აქედან მოსწყდი. ამათი წრიპინიც მეყოფა, რომელნიც გარე შემომრტყმიან.

მართლაც, შეშინებული ბუჩქები ერთმანეთის ქვეშ იყუჟებოდნენ. თვით წყაროსკი, რომელიც გაზაფხულზე ამაყად გადმოჩხრიალებდა ნაშალ კლლის პირით, ეხლა აცრემლებულიყო, ობოლი მარგალიტები ჟვანამდა აიაზმად და ნეტარებით გაიხსენებდა იმ დროს, როდესაც ცელქი მხიარული ცეკვით მიხტოდა დაბლობისკენ და ქალწულ ყვავილებს არ უსვენებდა არშიყობით.

ბეგო შეაკრთო მათ შეკითხვამ. მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვიღასაც ეძებდა და რომ მისი თვალი სასურველ წერტილს ვეღარ შეჰხვდა, ერთი მწარედ ამოიკვნესა და ხელის ჩაქნევით კვალად მდუმარებას მიეცა, თითქოს სურს უთხრას მაბეზრებსა: „აბა რაღა ვთქვა, როდესაც სიტყვით შეუძლებელია გადმოიცეს რაც გულს მიწყლავსო.“

მისი კვნესა კაეშნის სიმად ჩამოიკრა და ნაღვლიან მელოდიად მყის ჩაიკარგა მომაკვდავ ყვავილთა უკანასკნელად დაკმეულ სამწუხრო სურნელოვნებაში.

* * *

...ბეგო მჭმუნვარებს, იტანჯება, ბეგოს არა აქვს მოსვენება. ბუნების წიაღში აღზრდილს მხოლოდ ერთი რამ გრძნეულება შეეძინა, ერთი თილისმა: სალამური ერთად ერთი იყო მისი ხმატკბილი მეგობარი, ის იყო მისი ჯადოსნური მოუბნე, რომელიც საოცარი სისწორით გადმოსცემდა მის გულის რითმიულ კვნესას, სულის ლტოლვას, სურვილთა ძახილს. ჯერ ხელში არც კი აეღო, რომ ოცნებამ ფრთები გაშალა. გონების თვალმაც ფრთები სცქვიტა. მჟინჟლავ ტაროსში იგი უმზერდა ოქროს-

წვიმას, ზურმუხტოვან ველს, სადაც ოქროს თმიანი მოცეკვე ფერია სუმბუქი ფეხით ნავარდობდა. თავ-ბრუ დასხმული ბეგო თვითვე მოხიბლა თვის ოცნებამ. წატორტმანებული სალკლდის შანთებს მოეჭიდა და დამაშვრალს პირზე მიადო შუბელი, რომ ბურუსი მიმოეფანტნა. მაგრამ მოცეკვე არ ჰქრებოდა. აი, მანდილი მოიწყვიტა და შიშველი სახით გამოქანდა ახლა ბეგოსკენ:

შენ ეი, გიჟო, — გადმოსძახა უნებურ ტყვედ — ქმნილს, — დაუკარ შენი შვიდთვლიანი სალამური...

ბეგომაც მორჩილად აიღო სალამური. ირგვ-ლივ ბუნება გაინაბა. მთლად დაავიწყდა უნებური შიში და ძრწოლა. იცის, ბეგო ეხლა კი ვერ დამა-ლავს თვის საიდუმლოს, მუნჯი ბეგო უტყვი თილის-მით იმეტყველებს, მთელს ცას გადაშლის...

* * *

...და სალამურიც ახმაურდა. ეს იყო წყნარი მოძახილი, როგორც ნიავის საღმრთო ჩურჩული ყვავილებთან, როგორც ტალღების ნაზი ხვევნა კენჭების გულზე. მაგრამ აი, ჩურჩული კვნესად გარდაიქცა და მალე, ძალიან მალე კვნესა იგი ქვითინით მიმოეფინა ირგვლივ არეს. ჩაქინდრულმა ყვავილებმა ასწიეს თავი და გამჭკნარი ტუჩები მოჰ-მართეს კოცნის მისაღებად. ბუჩქები აღარ ხმაურობ-დნენ, სულ დაავიწყდათ მომავალი სიკვდილის ლან-დი, ორიოდ წუთის წინ მათს გარშემო სამგლოვი-არო ზარს რომ აგუგუნებდა. სალი კლდის ბებერი არწივი ძირს გადმოეშვა და მის მახლობლად ჩამო-ცვენილი ფრთებით მიეცა საუკუნეთა ბედის თამაშის საგონებელს: აგონდებოდა სილაღე, აგონდებოდა სია-მით განვლილი დღენი, როდესაც იგი მეფედ მეფობდა და ეხლა დაძაბუნებულს უნებურად კვნესა ჰხდებო-და. ბუტუსურა ცხვრებიც კი დარბაისლური ნაბი-ჯით გარს შემოერტყნენ და სპეტაკი ფილოსოფოსი თავი დაჰღუნეს დაბლა, თითქოს მიწას ეკითხებიან, რას ნიშნავს ბეგოს სალამურის ასეთი ძახილიო. დისკო დახრილი მზე ქედის პირს შეჩერდა, მბლე-ტავი სხივები როგორც იყო წამით მიჯაჭვა მწვერ-ვალის თხემს, მაგრამ ვერ შესძლო: მთით ნიავმა წამოუბერა, თითქოს შეშურდა მისი ადგილიო, ნისლის ლეჩაქი მოხვდა, თვით კი დაეშვა დაბლო-ბისკენ და მხოლოდ ბეგოსთან შესწყვიტა ნესტრის სისინი.

ოქროს თმიანმა ფერიამაც შესწყვიტა ცეკვა. უნებურად პირზე ღიმილი წაეშალა. თვითონვე შერცხვა თვის სიშიშვლის. ნისლს გადაევლო და ნამის უკან ფერდობიდან შავმანდილ მოსხმული ჩამოეშვა მტირალი სახით.

ბეგო შეაკრთო მის ცრემლებმა: თითქოს რომ იცნო.

— მითხარ, ძვირფასო, რატომ სთესავ ცრემ-ლთა მარგალიტს? არ იცი, ნათესი იგი ამოვა, სხვები დაჰკრებენ მის კუნწულებს და შენ კი არ გიწილადებენ.

— მას ხელს ვერვინ ვერ შეახებს, — უპასუხა მანდილოსანმა, — რადგანაც იგი შენ გეკუთვნის. შენ კი მეფე ხარ, ჯადოსანი. აქ შენთვის მოვე-ლი... შენთვის... მხოლოდ შენთვის... შენთვისა ვთესავ სიხარულსა, ამ ცრემლთ მარგალიტს... შენ-მა კვნესამ გულში აღმიგზნო დაფარული ტრფო-ბის ქარცეცხლი. მაშ დამწვი... დამწვი... შენ ხარ ჩემი საკუთარი მზე... ჩემი მასიცოცხლებელი მნა-თობი... აბა შეჰხედე ჩემს თეთრს გულ-მკერდს! თვით მზე-ქალასაც შეშურდება. რა არის სირი-ნოზი, რომელიც ტალღების ქაფის არშიას კეკლუ-ცად ისხამს ბროლის ყელზე? არაფერი! საკმარისია მთვარის შუქზე თევზის ბოლო შემოგკრას, რომ ამ ერთი სილით გაგრძნობინოს თავის სიცივე. არა, ოჰ, მზეო, არა მსურს სირინოზად მიგაჩნდე, არა! მხოლოდ შენს ვნებათა მორჩილ მხევლად მი-გულე მარად, შენს მხევლად - მეთქი, რომ სიცოც-ხლე სიცოცხლედ მხოლოდ შენთან ვიგრძნო, ცეცხლში დავიწვა შენის ცეცხლით, აღვიგზნო შე-ნებრ და ავცისკრდე, როგორც ჩემით შენ! აჰა, ეს მარწყვის ტუჩები, შენია, შენი! შენ გეკუთვნება ამ სხეულის სრული ტამასი. დრო აღარ არის ჩი-ვილისა და თავის წყევლის. შენს ცრემლებს ეღირ-სად დაკოსება: მათ შემისყიდეს, შემისყიდეს, რო-გორც მე შენა...

მაგრამ რას ნიშნავს? ბეგო, ბედნიერებით დამ-თვრალი ბეგო, მის სიტყვებს ისმენს როგორც ზღაპარს. ის კი მორცხვობის საზღვრებს ჰლახავს. კვლავ სურს გაშიშვლდეს... ყელზე ეხვევა... გველ-სავით აჭდობს შიშველ მკლავებს... მხურვალედ იკრავს მის თავს მკერდზე და გაფიცხებულ ელვარე ტუჩებს ასრისავს მის გაბურძგნულ თმას, ლოყებს და ტუჩებს, როგორც ახლად გადაშლილ ვარდს... წითელს ვარდს... როგორც გაფურჩქვნილ კოკობ ვარდსა მუგუზლის მურზე...

* * *

...მთვარე ამოვიდა. ნაღვლიანად გამოსჭრა ნიჩლის ასკეცი შავი რიდე. ფერდობის შუაგული

მკოხნაკ ცხვრის ფარას მოეთოვლნა, ხოლო და შაბრულ კლდის პირს ღრმად ჩასძინებოდა ბეგოს-მის გვერდით ეგდო სალამური. მურა კი მოუსვენ-რად დარბოდა, ხან ცხვრებს დასტრიალებდა, ხან კიდევ მძინარე ბეგოს, რომელსაც ნაღვლიან სახეზე გამოურკვეველი ღიმილი დაჰკრთოდა და თან ტლანქად ხელით სრისავდა ტუჩებთან მიტა-ნილს ფერ-მკრთალ ზამბახს, ,ევდით სავსე ფერ-მკრთალ ზამბახსა, რომელიც თვისდა შეუმცნებლად იქვე წყაროს პირს მოეწყვიტნა.

დ. კასრაძე.

ბრიუსელი 10 ნოემბერი.

ჰურის მოსავალი

რუსეთის დიდი კომერსანტები, რომელიც ჰურით ვაჭრობენ, ძალიან დალონებულან ჰურის ფასების დაწე-ვით. საზოგადოდ, უკანასკნელ ხანებში ევროპაზედ ისეი ჰური 1910 წელში იყო. ეხლა კი ჰურის ფასს უფრო კიდევ დაუკლია. ოდესაში, მაგალითად, ფუთი ღირს 93 კაპ. შარშან კი 1 მან. და 11 კაპ. ღირდა, ხოლო 1910 წელში კი 96 კაპ. დიდ ვაჭრებს ჰური საზღ-ვარ გარედ გაქვთ ხოლმე, ესლა კი შავი ზღვისა და აზოვის ზღვის ნავთსადგურებში ჰური ნაკლები ღირს, სახელდობრ 90 კ.—1 მანეთამდე, ვინემ ადგილობრივ. საზღვარ გარედ გასატანად ჰური თითქმის ადარ იყი-დება.

ფასების ასე დაწევის მიზეზი ევროპის რუსეთი-სა და ჩრდილო კავკასიის კარგი, არა ჩვეულებრივი მოსა-ვალია. ხარჯის-ამკრეფ ინსპექტორთა სტატისტიკური ცნობებით ევროპის რუსეთსა და ჩრდილო კავკასიის მოსავალი გასინსაზღვრება 4748 მილიონი ფუთით. ამისთანა მოსავალი არა ყოფილა რუსეთში თითქმის მთე-ლი საუკუნის განმავლობაში. როგორც ანგარიშობენ, აქედ-გან საზღვარ-გარედ წაკ 1240 მილიონი ფუთი. მაგ-რამ საქმე ისაშია, რომ ამოდენა ჰური არც საზღვარ-გა-რედ დასაწერდებით, (წინად მიდიოდა მხოლოდ 900 მილი-ონი ფუთი), მით უფრო, რომ ასევე კარგი, არა ჩვეუ-ლებრივი მოსავალი იყო ამერიკაშიც და კანადაშიც, რომ-ლებსაც აგრედვე მსოფლიო ბაზარზედ გამოაქვთ ხოლმე ყოველთვის თავისა მოსავალი. კარგი მოსავალი იყო არგენტინასა და ავსტრალიაშიც. და მხოლოდ ერთს ინ-დოეთს ვერ მოუვიდა კარგი მოსავალი, ამიტომ ევროპის უმთავრესს ბაზრებზედ ჰურის ფასი შარშანდელთან შედა-რებით 10—15 პროცენტით დაეცა. გერმანიაში, მაგა-ლითად, რომელიც რუსეთის ჰურის უმთავრესი მუშტა-რია, ფასები წელს კიდევ უფრო ნაკლებია, ვინემ ეს 1910 წელში იყო. ბერლინში ფუთი ხორბალი საბაზო გაცვლისადითურთ 1910 წლის დვინობის თვეში ღირდა 1 მ. 50 კ., ეხლა კი სულ 1 მან. 41 კ. ღირს.

ჰურის ფასების ასე დაწევამ შეჭმნა დროებითი კრიზისი ექსპორტისა. მაგრამ ჯერ კი ფერთოდ არ გა-ზლილა ეს კრიზისი. ვაჭრები ძალიან შიშში არიან. ვნა-ხოთ, მომავალი რას გვიჩვენებს. ასევე კარგი მოსავალი იყო ციმბირშიაც, და რუსეთის იმპერიის საზღვრებში მხოლოდ ერთი ჩვენი ქვეყანა დაზარალდა ამ მხრივ.

სოფლის მეურნე.

უკანასკნელი ამბები

რედაქციამ მიიღო პეტრე მირიანაშვილის მიერ შე-კრებული და დაწყებული ,,**ამირანის ლექსი.**'' წიგნი მშვენიერად არის გამოტეტული, შიგ ჩართული აქვს კარ-გად შესრულებული 30 ნახატი და ღირს სულ ექვსი შა-ური.

— —

მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო მამულების ქუთა-ისის მმართველობას ხუთი ნებართვის მოწმობა მიუცია ნ. ვ. ნაზარეტოვისთვის ართვინის ოლქში ,,დიდ ნალი-ნი ეფესის'' მიდამოებში სპილენძის მადნის ადგილების გამოსაკვლევად.

—

ამავე სამმართველოს მიუცია ნებართვის მოწმობა ი. ს. შადინოვის მემკვიდრე ფ. აშრაფიანისთვის ბათუ-მის ოლქის, ,,ბოლოშტინას'' მიდამოებში სპილენძის მადნების გამოსაკვლევად:

—

როგორც ,,კავკაზს'' ატყობინებენ ერთა წმიდასა და სათარხნოს (ბორის მაზრა) მიდამოებში სეტყვას გა-ფუჭებია შემოდგომის ნაოესი 2476 დღიურზედ. ზარა-ლი 8, 500 მანეთია.

— —

თიოსეთის მაზრის აგარაკ ახმეტაში და მატანში თავ. დადიანისა და ჩოლოყაშვილიანთ ტყეებს ცეცხლი გასჩენია.

საქართველოს ცხოვრების მიკრობი

სულ რაღაც ფუჭი და უღონოა ყოველი ჩვენი საქმე, კერძო იქნება იგი თუ საზოგადო. აი ეხლაც, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ქუთაისში დახურულა კოოპერაცია „პროგრესი“ და აბაშაში გაკოტრებულა „ანგარიში“ თავისი განყოფილებებით და სხვ. მიზეზი? მაზეზი ათასია, და უმთავრესად კი ჩვენი ცხოვრების საერთო უვარგისობაა.

რუსეთში ყოფნის დროს კარგად გავეცანი ერთს დიდს ქარხანას, სადაც ოცი ათასამდე მუშაობ, და სადაც აქამდის გამდიდრების ერთი უბრალო და გენიალური საშუალებაა ხმარებაში. კანტორაში მომუშავეთ, მიმღებლებსა და კიდევ რამდენსამე პირთ გარედგან პირობა აქვთ ერთმანეთში

ამ გარეთ მყოფ ვაუბატონებს ამ ოცი წლის წინად ქარხნისთვის მიუყიდნიათ ერთი ვაგონი ძველი რკინა ხუთასს მანეთად. ვაგონი დანიშნულ ადგილს მისულა, მიმღებლებსა და მეკანტორეებს ეს წიგნებში შეუტანიათ, და თვით ვაგონი კი წასულა დაუცლელი იქვე, საიდგანაც მოვიდა. იქიდგან კვლავ ქარხანაში მოსულა, „მიღებულა“ და უკანვე წასულა. ამგვარად, წელიწადში სამოცჯერ მაინც მგზავრობს ეს ვაგონი წინ და უკან. აქედგან აღებულის ოცდაათ ათასს მანეთს კი „გამყიდველები“ და ქარხნის მოსამსახურენი იყოფენ.

სწორედ ეს ვაგონი მაგონდება ყოველთვის, როცა ჩვენი ცხოვრების საქმიანობას ვუკვირდები. ამისთანა ,,თავისი'' ვაგონი თითქმის ყველა ჩვენ დაწყებულებასა აქვს, და ყველა სცდილობს, რომ თავისს თავსა და თავისიანს, ნათელ-მირონს არგოს იმითი. თვით საზოგადო საქმეც ყველას თავისი კერძო საკუთრება ჰქონია, და აგრედვე განაგებს მას. კოოპერატიული კრიზისის გამო ,,სასოფლო გაზეთი'' ამბობს, მეთაურთ არსებულ პირობებს ანგარიში არ გაუწიესო. დიაღ, სწორედ საქმეც ამაშია, რომ არსად და არასდროს ანგარიშს არ ვუწევთ არც ჩვენს თავს, არც საზოგადო ცხოვრებას. მაგრამ, მოგეხსენებათ, ადამიანი მეტ წილად სოციალურ პირობათა ნაყოფია, ყველა ხედავს, რომ ჩვენში ეს დაუდეგრობა საზოგადო საქმისადმი კარგად არის მიჩნეული, მათი გრძნობა-გონებაც ამგვარივე მიკრობით იყლინთება,— დანარჩენი კი თავისს თავად მოდის.

საშინლად ცუდს ნიადაგს და ჰავაში ვცხოვრობთ! თითქმის არსად მოიძებნება სულით მღვიძარე, გულით მამაცი, მომუშავე ქართველი: ყველა ჩვენმა ქართველურმა მიკრობმა შთანთქა.

ნარი.

პატარა ფელეტონი

გემოვნება

(ეტიუდი ბარრი ბეინისა).

„..საშინლად ულამაზო ახალგაზრდა კაცია“...

აი რა ჩასწერა ელენემ თავისს დღიურში იმ დღეს, როცა ჟორჟი გაიცნო.

„...საკმაოდ საინტერესო სახე აქვს იმას“...

ასე განუცხადა ელენემ თავის დედას ერთი თვის შემდეგ, როცა ჟორჟის მიერ მირთმეული ლამაზი ვარდებით ახალ კაბას ირთავდა.

„...მის სახეს ის თოჯინას მინაგვარი გამომეტყველება არა აქვს, და ის უნაკლო სახის ფორმები, რაც მე ასე მეჯავრება მამაკაცში. მას აქვს ნამდვილი ვაჟკაცური და უსათუოდ დამახასიათებელი სახე. მშვენიერი თვალები“...

ამას ელენე სწერდა თავის ბიძაშვილს—ქალს იმ წერილში, რომელშიაც ატყობინებდა, მე და ჟორჟი დავინიშნეთო.

— შენ უფრო კარგი და ლამაზი ხარ, ვინემ მთელი ქვეყნის კაცები,—ხმა-მიხდილად ეუბნებოდა ის, როცა ქორწინების მესამე დღეს ყავას აკეთებდა. მზათა ვარ, მთელი საათობით გიყურო და გელამუნო შენ.

ექვსი თვის შემდეგ სხვა კაცმა დაიჭირა მის ცხოვრებაში ადგილი, და ელენემ როგორღაც განუცხადა ერთხელ თავის ქმარს;

— არ ვიცი, ჟორჟ, მიაქციე თუ არა ყურადღება, როგორ საშინლად გითხელდება თმა. შენ უფრო ნაკლებ, ვინემ სხვას, მოგიხდება მელოტობა. მაინც ამ ბოლო დროს შენ საშინლად გაულამაზოვდი...

ვურჩევთ ქალებს პირველი შთაბეჭდილებით ნუ სჯიან კაცის სილამაზეზედ.

გორელი.

პასტერის ინსტიტუტის 25 წლის იუბილეი

მომდინარე თვეში შესრულდა 25 წელი, რაც პარიზში დაარსდა პასტერის ინსტიტუტი. ეს დღე სადღესასწაულო დღეა არამც თუ პარიზისა და საფრანგეთისთვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვის. ეს მსოფლიოკულტურის დღესასწაულია. იუბილეი ადამიანის სულის ძლიერებისა, კაცთა ცოდნის ძალისა, რომელსაც საშობლო არა აქვს და ქვეყნის ეოველ კუთხეს ერთნაირად ასათებს თავის სხივებით.

პასტერის ინსტიტუტს პირველი ადგილი უჭირავს და ეოველთვის უჭირება ადამიანთა გონების კაცობრიობის მაჭირვებელ ავადმეოფობაზედ გამარჯვებათა ისტორიის მოთხრობაში. გადამდები ავადმეოფობანი ძალიან დიდი ჭირი იეო კაცობრიობისთვის და დიდი ზარალიც მოჰქონდა, მათ წინააღმდეგ ადამიანი ისევე უდონოდ გრძნობდა თავსა, როგორც ძველ ბუნების სასტიკ მოვლენათა წინაშე, ადამიანი მათ ქედს უხრიდა, ღვთის რისხვას აწერდა და მხოლოდ მსხვერპლის შეწირვითა და შელოცვებით სურდა მათი ლმობიერების მოპოვება.

მაგრამ აი გამოჩნდა ლეი პასტერი და მის შემდეგ მეცნიერულად გამოიკვლიეს ამ ავადმეოფთა მიზეზები, გამოუნახეს ე�ლას წამალი და იმ გვარი საშუალებაც, რომ წინადვე ადამიანის ორგანიზმი მიეღებელი გახადონ ამა თუ იმ სენისაგან. ჩვეულებაც ეხლა გავრცელებულია ატრა ეეგვილის წინააღმდეგ და აი სწორედ ამ გვარივე ატრა უპოვეს პასტერის ინსტიტუტის მეცნიერებმა ნუნაგს, ხოლერას, შავს ჭირს, და შეტლის საოფლეს. პასტერმა პირველად გამოიკვლია ცოფის წინააღმდეგი საშუალება, და ეხლა ამ საშუალების ცოფთან საბრძოლველი პასტერის ინსტიტუტები თითქმის ეველა ქალაქშია, და სწამლობენ იქ ათასობით ცოფიანი ძაღლით დაგებენილებს. თვით რუსეთში 1910 წელში პასტერის ინსტიტუტებში აუცრიათ ცოფის წინააღმდეგ 48409 კაცისთვის.

ამ გამოკვლევის შემდეგ პასტერს მადლობელმა საფრანგეთის ხალხმა მოკლე დროში შეუგროვა ორ-ნახევარი მილიონი ფრანკი, რომ განსაკუთრებითი ინსტიტუტი აუშენებინათ პასტერისა და სხვა მის დარგში მომუშავე მეცნიერთათვის. ამ ინსტიტუტის პირველი დირექტორი თვით პასტერიეე იეო. ამ ინსტიტუტში ეხლაც საუკეთესო მეცნიერები მედიცინისა მუშაობენ და იგი მთელი ქვეყნის მეცნიერულად მომუშავე ექიმთათვის იგივეა, რაც ქრისტეანთათვის იერუსალიმი და მაჭმადიანთათვის მექა.

გასულო 25 წელმა მისი არსებობისამ. ამ ინსტიტუტს ოაშამად შეუძლიან იამაყოს გავლილი წლებით. და ასევე იმედიანად უნდა შეეეურებდეთ მის მომავალსაც! მდიდარი საშეცნიერო ძალები, მატერიალური შეძლება, კვლევის თავისუფლება, რომელიც ინსტიტუტში სუფევს— ეველა გვეუბნება იმას, რომ შემდეგშიაც ის კაცობრიობის საკეთილდღეოდ ბევრს რამეს გამოიკვლევს და გამოაქვეყნებს.

აქ ჩვენ მხოლოდ უნდა ვისურვოთ, რომ მისმა სხივმა ჩვენს საქართველოსაც მოაშუქოს, თორემ ჩვენში ჯერ ბევრს ისევ გადამდებ სენთა მიზეზად რადაც უხილავი ძალა სწამთ, და ავადმეოფობის ბაქტერიებს მხოლოდ ულოცავს და ბაზმას უნთებს, ან მხვერპლსა სწირავს. პირადად მე ამ გვარი შემოხვევა ბევრი მქონია, და ერთს დროს, როდესაც საქართველოს ერთმა სამაზრო ქალაქის მმართველობამ უალათმასა და წითელასთან საბრძოლველად მიმიწვია, ბევრი ოჯახი მიმალავდა ამ გადამდებ სენით ავადმეოფებს,— „ბაქტერიები არ გაეჯავროს ექიმობითა და თავისი წამლობითაო“.

მედიკი.

სრ. რუსეთის სასოფ.-სამეურნო კრება ქ. კიევში

(დასასრული)

საზოგადო აგრონომიის სექციის შემდეგ მოხსენებებში აღნიშნული იეო არა სასურველი მოვლენა, აგრონომების ხშირი გადასვლ-გადმოსვლა ერთი ადგილიდგან მეორეზედ, რაც ცუდ გავლენას ახდენს მათს მოქმედებაზედ. ამასთანავე გამოითქვა სურვილი, აგრონომებს დაეკვალონ შესწავლა და აღწერა თავისი რაიონისა და იმ ზომებისა და შედეგებისა, რომლებიც მიღებულია მათ მიერ, რაც მოქმედებას კეუადვილებს შემდეგ მათს რაიონში მომუშავე აგრონომებს.

ეკონომიკის სექციაში მიწის საკუთრების მობილიზაციის თაობაზედ წაიკითხა მოხსენება ბრუნ. კოსინსკიმ. აი მისი დედა აზრიც: „ყარმოებით მრეწველობაში მსხვილი მწარმოებელი ეოველთვის სარგებლობს მეტი ხელ-საერელ პირობებით, მიწათმოქმედებაში კი, პირიქით, წარმოების ტეხნიკა არავითარ უპირატესობას არ აძლევს მსხვილ მეურნეობას, სოციალურ ეკონომიური მდგომარეობის სარგებლობა კი მთლიანად წვრილწარმო-

ების მხარეზეა. რაში მდგომარეობს ახლა ეს სარგებლობა?

კაპიტალისტური მეურნეობა დაფუძნებულია დაქირავებულ შრომაზედ. იგი ჭეშტს ნაშრომს მუშასა და მწარმოებელს შორის. ბირველს ეძლევა სამუშაო ხელფასი, მეორეს—დამატებითი დირებულება, რომელიც მოგება-და და რენტად იყოფა. კაპიტალისტურმა წარმოებამ უნ და აინაზღაუროს დანახარჯი, მუშას მისცეს ქირა და თვით კაპიტალისტსაც დაუტოვოს სარგებელი.

შრომის მეურნეობაში კი ყველა თითონ მუშაობს, მაშასადამე იქ არ არის არც სამუშაო ქირა, არც რენტა და მოგება. ყველა კმაყოფილია, თუ თავის საყოფს იღებს. ამიტომ იგი კმაყოფილდება ცოტას, ამიტომ იგი ასე ეწევა მიწისკენ და სცდილობს მისს შეძენას. ის სწევს მიწის ფასს მაღლა, და ამით მის შემოსავლიანობას ამცირებს, რაც კაპიტალისტისთვის სარფა არ არის.

კრების სხვა წევრები არ დაეთანხმნენ ბროფ. კოსინსკის. ისინი ბირიქით ამტკიცებდნენ, რომ მსხვილ მეურნეობას მეტი შემოსავალი აქვს, ვინემ წვრილს. სექციამ დაადგინა საზოგადო კრებას წარუდგინონ შემდეგი ტეზისები:

1. შრომის მეურნეობა წარმოების უფრო ცოცხალი სახეა და იგი სულ ფართოვდება.

2. ბროლეტარიზაცია საფეოლში არ არსებობს.

3. აგრონომიული დახმარება მიმართული უნდა იყოს შრომის მეურნეობის კეთილდღეობისკენ და შეეცადოს ეოველი ზომის მეურნეობას, მათში ძალიან წვრილ მეურნეობასაც.

ეკელა სექციების საერთო კრებებზედ წაიკითხეს რამდენიმე მოხსენება, რომლებიც შეეხო ხორცის საძვერეს, სავაჭრო ხელ შეკრულობას. ეკახსკნელს თეშაზედ ორმა წაიკითხა მოხსენება—ბროფ. იასნოპოლსკიმ და ბროფ. სობოლევმა. ბირველი იცავდა ვაჭარ—მრეწველთა ინტერესებს, მეორე კი ამ ხელშეკრულობას არჩევდა აგრარულ ინტერესების მხრივ.

გ. ნამორაძე.

განსვენებული

...ამ ოცდაათიოდე წლის წინად განსვენებულ ნიკოლოზ ღოღობერიძესთან მქონდა ლაპარაკი ქართველების ბედოვლათობაზე ბორჩალოს მაზრაში და ზემო ქართლში. შევჩივოდი, თუ რა უბედურებას მოასწავებდა ჩვენთვის სამშობლოს ტერიტორიის გაყიდვა, მშრომელი ხალხის გაბოგანოება, ღარიბებისათვის ლუკმა პურის გაწყვეტა...

— დიდი ხანია უნდა გვცოდნოდა, მომიგო მან, რომ აღმოსავლეთს საქართველოში ჩვენ ეს დღე დაგვადგებოდა... ხელს არ ვანძრევთ და თავისათვის არ ვზრუნავთ, მაშ რა სიკეთე დაგვეყრება? ნეტავი შავი ზღვის პირად არ აგვიკვეთდნენ ფეხს და იქიდან არ აგვყრიდნენ, შენის კარგად ყოფნით, თორემ...

მე ისე მეოცა ეს მისი შიში, რომ სიტყვა გავაწყვეტინე და შეეკითხე თუ შავი ზღვის პირად რა შიში უნდა გვქონოდა, როცა იქ მჭიდრო მოსახლეობა გვქონდა და წმიდა წყლის ქართველობა, ყიზილბაშებთან და სხვებთან აურეველი, დიდ მომავალს გვიქადდა...

— ღმერთსაც ექნას, მაგრამ ეშინია ჩვენი უსაქმო ყოყოჩობის და სულმოკლეობის და მ ა თ ი შეუგნებელი ხეპრეობის და ძალ-მომრეობის.

—რას ამბობთ, ეს და ეს კაცი, ესა და ეს თემი როგორ მისცემენ ვინმეს ნებას ქვეყნის აკლებისას—მეთქი.

ნიკ. ღოღობერიძემ ირონიულად მომიგო:

—არა მწამს სიბრძნე გლახაკთა! ასე უთქვამს სოლომონ ბრძენს.

მე გამეცინა.

მაშინ ნიკ. ღოღობერიძის პესიმიზმს დავცინოდი მეგონა, და ახლა ვხედავ და ვგრძნობ, რომ თურმე დავცინოდი ჩვენს მაშინდელს მომავალს, ე. ი. აწინდელ დროს, ჩვენთვის საუბედუროს და მიწათსან გამსწორებელს.

,,კლდის'' ამ წლის... №-ში დაბეჭდილი იყო ჩემგან ნათარგმნი ,,მმართებლობის მოამბის'' წერილი იმის თაობაზე, თუ როგორ გვიპირებენ ჩვენ, ე. ი. აბხაზებს, მეგრელებს, გურულებს, ქობულელებს და აჭარლებს შავი ზღვის პირიდან აყრას.

ჩვენ უნდა აგვყარონ და ჩვენს ნასისხლარსა და ნაოფლარზე სხვა ხალხი უნდა დაასახლონ.

ამას კი აღარ მალავენ. ამას მოქმედებენ დღისით მზისით, საქვეყნოდ. ამას თავიანთ დამღას აკვრენ სახელმწიფო საბჭო და სახელმწიფოვე სათათ. სადაც სხედან ჩვენი კაცებიც, რომელთაგან ზოგი ცაში ვარსკვლავებს ზომავს, და ზოგი, ნაცარქექიასავით, რომელიც პატარა დოქს ვერ ერეოდა მოსატანად, და დევების შესაშინებლად დიდ, ჩაკირულ ჭურს ეპოტინებოდა ამოსაღებად,—მაღალ ფარდებზე მქევრად ლაყბობენ, იმის მაგიერ, რომ

რეალურ საჭიროებებზე შეგნებით გულახდილად და მხნედ ილაპარაკონ...

წაიკითხეთ ,,კლდის'' ნაჩვენებს № ში ძოთავსებული სტატია, რომელზედაც ზემორე მოგახსენეთ.

წაიკითხეთ და დამეთანხმებით, რომ ვიღუპებით ნამდვილად, საუკუნოდ, ძირიან-ფესვიანად; ვიღუპებით თვითეული ჩვენგანი კერძოდ, და საერთოდ ყველანი, როგორც ერთი.

ამ თორმეტი წლის წინად გაქრა საქართველო პოლიტიკურად, დღეს ვისპობით ეთნოგრაფიულად, ვიღუპებით ფიზიკურად, როგორც გურიაში იტყვიან ,,**ანაგებად** ვიღუპებით'' ..

ჯერ წყლის ხმარება აგვიკრძალეს აღმოსავლეთს საქართველოში მიწის მოსარწყავად, სადაც მიწა ურწყავად მოუსავლიანია. ახლა მიწას გვაცლიან ფეხქვეშიდან დასავლეთს საქართველოში, სადაც მიწას რწყვა არ უნდა...

მერე რას ვსაქმობთ ამ დაღუპვის თავიდან ასაცდენად?

—ბრაფერს!

—მიზეზი?

,,ჩვენი უსაქმო ყოყოჩობა და სულმოკლეობა!'' ნიკ. ღოღობერიძის თქმისა არ იყოს.

—მერე ჩვენი დეპუტატები, ჩვენი პარტიები, ის ჩვენი გულის კუნჭულები?

—,,არა მწამს სიბრძნე გლახაკთა!'' უთქვამს სოლომონ ბრძენს...

მაგმაძე.

12/XI 1913.

მაცივარი

როგორ უნდა ითქვას ქართულად სიტყვა ,,холодильный''? ბატონი ისე რაჭველის აზრით (,,თემი'' № 145)—,,საცივე''; ბ. ა. ჭუმბაძე ბრძანებს (,,სახალხო გაზეთი'' № 1217) ,,ცივადიო.'' მე ვგონებ, ამ ორ სიტყვაში არც ერთი არ არის გამოსადეგი, ვინაიდგან ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ ასრულებს სიტყვის უძთავრესს დანიშნულებას: სისწორით არა ჰხატავს ცნების დედა აზრს. მართლაც, რას ნიშნავს ,,холодильный''? იმ გვარ მოწყობილობას, რომელიც ყოველ საგანს, ამ მოწყობილობაში მოქცეულს, ცივადა ჰქმნის. თითონ ეს მოწყობილობა ცივია თუ ცხელი—საკითხს არ შეადგენს. საგულისხმო აქ მხოლოდ ის არის, რომ ,,холодильный'' სხვა საგნის გამაციებელია.

ხოლო რას ნიშნავს ,,საცივე''? თუ მაინცა და მაინც შესაწყნარებლადა ვცანით ამ სიტყვის უცნაური ნაშენობა, სხვა აზრი ძნელია მივაკუთვნოთ, გარდა საცივის ალაგისა. სხვა, ამავე გვარად ნაშენი სიტყვების აზრი ყველასათვის ცხადია: სასაპონე, საღვინე, სარძევე, სასიმინდე, სათივე, საღორე, საფუტკრე და სხვ. მაშასადამე, სიტყვა ,,საცივე'', სწორედაც რომ იყოს ნაშენი, მხოლოდ სიცივის ალაგს აღნიშნავდა და არა იმას, რომ ეს ალაგი სხვა საგნის გამაცივარია.

ცივადი? რას ნიშნავს ეს სიტყვა? მსგავსად ნაშენი სიტყვები - ხმიადი, ფერადი, მწვადი, პურადი, ცვალებადი - რას ნიშნავენ? იმას, რომ საგანი თითონ განიცდის იმ მდგომარეობას, რომელიც გამოიხატება სიტყვის დედა აზრში, ესე იგი ამ სიტყვებით გამონახატი აზრი ზედ საგანზედვე ტრიალებს, სხვაზე არ გადადის. ხმიადი თითონ არის გამხმარი, სხვას როდი ახმობს; აგრეთვე მწვადი და სხვ.

მაშ არც ეს სიტყვა ვარგა.

ჩემის აზრით, ქართულ ენაში არსებობს მშვენიერი სიტყვა, საჭირო აზრის სავსებით გამომსახველი, ამასთან ლამაზად ნაშენი და კეთილხმოვანი. ეს სიტყვა არის ,,მაცივარი''. ამ სიტყვის თანამსგავსნი არიან: მაცხოვარი, მაწოვარი, მატყუარი, მაწყინარი, მანუგეშარი და მრავალი სხვა. ამ რიგად, холодильный—вагонъ, поѣздъ, Комитетъ, съѣздъ უნდა ითქვას: მაცივარი ვაგონი, სამაცივრო მატარებელი, მაცივრის ანუ სამაცივრო კომიტეტი, სამაცივრო კრება, სამაცივრო ლიტერატურა და სხვ. *)

დ. ამიერი.

*) ჩვენი რედაქცია სრულიად ეთანხმება ამ მოსაზრებას ბატონ ამიერისას და სახმარებლად სიტყვა ,,მაცივარი'' ექნება.

რედ.

ᲛᲔᲪᲓᲚᲛᲐ ᲗᲣ ᲙᲚᲐᲒᲘᲐᲢᲘ?

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ᲓᲐᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘᲐ:

ᲛᲝᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲰ ᲜᲘᲪᲨᲔᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠ ᲐᲖᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

Nur zum Schaffen
sollt ihr lernen.
Zarathustra.

ᲘᲑᲡᲔᲜᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲛᲐᲠᲘ ᲰᲔᲠ ᲒᲣᲜᲢᲘ ᲚᲐᲓᲐᲓ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲣᲙᲕᲔ ᲝᲠᲛᲐᲓ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ. ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲒᲝᲘᲡᲢᲣᲠ ᲓᲢᲝᲚᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲛᲓᲘ, ᲛᲮᲠᲣᲜᲕᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ „ᲛᲔ“-ᲖᲔ, ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲗᲕᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ, ᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲘᲛ ᲒᲖᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲖᲠᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲛᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ „ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲛᲓᲘᲡ“ ᲛᲘᲘᲣᲒᲐᲜᲓᲐ. ᲣᲮᲐᲓ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ, ,,ᲓᲕᲗᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲓᲚᲘᲗ ᲪᲮᲔᲑᲣᲚᲘ'', ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲮᲡᲘᲐᲗᲝ, ᲡᲣᲡᲢᲘ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲰᲐᲢᲠᲝᲜᲘ, ᲛᲨᲘᲨᲐᲠᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲕᲘᲡᲘ ᲣᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ, ᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲣᲚᲕᲐ, ᲛᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲐ, ᲗᲕᲘᲡᲘ ᲓᲢᲝᲚᲕᲘᲚᲔᲑᲐ, ᲒᲐᲰᲠᲐᲮᲕᲐ, ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡᲜᲘ ᲓᲐ ᲔᲒᲝᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡᲜ. . . . . .

. . . . . .

. . . . ᲛᲫᲐᲒᲡ ᲐᲬᲛᲧᲝᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲛᲘᲘᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲣᲚᲘ. ᲛᲘᲔᲕᲠᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲯᲔᲠᲔᲓ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ, ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲖᲚᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲨᲚᲘᲚᲘ. ᲘᲥᲘᲗᲙᲔᲜ ᲛᲘᲕᲐᲤᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲘᲐᲚᲥᲜᲔᲑᲡ, ᲛᲐᲡ ᲕᲔᲥᲔᲑ, ᲛᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲕᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘ. ᲛᲐᲛᲐᲧᲚᲘᲗ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲬᲛᲧᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲘᲔᲓᲕᲐ''.

Ნ. ᲑᲘ-ᲫᲔ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ,,ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ'' № VII 1913 Წ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ ,,Вѣстникъ воспитанія''-ᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ:

Мотивы изъ культурно-педагогическихъ воззрѣній Фридриха Ницше.

Nur zum Schaffen sollt ihr lernen.
Zarathustra.

Пеерь Гюнтъ, герой драмы Ибсена, послѣ безпутно прожитой жизни, возвращается домой въ глубокой старости. Въ эгоистической погонѣ за счастьемъ, думая всегда лишь о благополучіи своего дорогого *я*, вѣчно довольный собою, онъ никогда не шелъ тѣмъ путемъ, который велъ бы къ осуществленію его призванія, назначенія, «правды его жизни». Богато одаренный природою, съ «печатью Божьей на челѣ», но безхарактерный, съ дряблою волею. . . . . .

. . . . . .

,,Такъ осталось мнѣ любить лишь *страну дѣтей моихъ*, неоткрытую, въ дальнемъ морѣ; къ ней направляю я мои паруса, ее ищу и ищу безъ конца.

,,Моими дѣтьми хочу я загладить, что я — дитя моихъ отцовъ; всѣмъ будущимъ искуплю я *эту* современность''.

Александръ Дауге.

Вѣстникъ воспитанія № III 1910 г.

ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲒᲖᲣᲐᲕᲡ ᲐᲥ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ, ᲘᲡᲔ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲝᲠᲘᲡᲐ. ᲔᲮᲚᲐ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲠᲣᲡᲣᲚᲐᲓ ᲣᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲐᲗ, ᲗᲣ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡ ᲪᲣᲓᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ! ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ Ბ. „ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲛᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲚᲘᲝᲡ ᲔᲡᲐ.

ᲜᲐᲠᲒᲘᲖᲘ.

ᲜᲐᲠᲔᲙᲘ

ᲪᲝᲚᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲡᲣᲤᲠᲐᲯᲘᲡᲢᲙᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲧᲣᲗᲔᲑᲡᲐ ᲡᲬᲕᲐᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲡᲪᲔᲛᲔᲡ, ᲗᲣᲠᲛᲔ ᲔᲮᲚᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ **ᲪᲝᲚᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐᲡᲐ** ᲥᲐᲓᲐᲒᲝᲑᲔᲜ. ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ ᲔᲮᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ:

ᲓᲐᲙᲔᲢᲘᲚ ᲙᲐᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲘᲓᲘ-ᲛᲝᲓᲘᲡ ᲥᲛᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲘ ᲫᲚᲘᲕᲐᲡ ᲒᲐᲑᲔᲓᲐ ᲓᲐᲔᲙᲐᲙᲣᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲘᲒᲘ.

— ᲗᲐᲛᲐᲠᲝᲩᲙᲐ, ᲒᲐᲛᲘᲦᲔᲗ ..

ᲮᲛᲐᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲜᲐ ᲡᲪᲔᲛᲡ.

— ᲩᲔᲛᲝ ᲪᲣᲒᲠᲣᲛᲔᲚᲐ!

ᲗᲐᲛᲐᲠᲐ ᲙᲘ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲞᲘᲐᲜᲘᲜᲐᲡ ᲣᲙᲠᲐᲕᲡ ᲐᲜ ᲒᲘᲢᲐᲠᲐᲖᲔᲓ ᲓᲐᲛᲦᲔᲠᲘᲡ:

— „ᲑᲣᲚᲑᲣᲚᲡ ᲔᲜᲐ, ᲕᲐᲠᲓᲗ ᲡᲘᲜᲐᲖᲔ
„ᲛᲝᲕᲢᲐᲪᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲗᲐᲕᲐᲖᲔ“...

— ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲗᲐᲛᲐᲠᲘᲙᲝᲩᲙᲐ, ᲒᲐᲛᲘᲦᲔ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ!

— ᲛᲔᲠᲔ, ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲔ? ᲐᲑᲐ ᲛᲘᲩᲕᲔᲜᲔ!

— ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ?.. ᲛᲒᲝᲜᲘ ᲓᲐ... ᲓᲐ... ᲓᲐᲛᲔᲙᲐᲠᲒᲐ!

— ᲐᲐ! ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔ!..

— „ᲑᲣᲚᲑᲣᲚᲡ ᲔᲜᲐ, ᲕᲐᲠᲓᲗ ᲡᲘᲜᲐᲖᲔ!..“

დაღვრემილი ქმარი დიდხანს უცქერის კიდევ კარების სახელურს...

ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენშიაც ასე წინ წავიდეს ქალების „განათლება"!

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ. ეხლახან ნორვეგიის პარლამენტმა მიიღო არჩევნების ახალი კანონი, რომელიც ამოავლებს არჩევნებში მონაწილე ქალებს 225 ათასით. ამ გვარად ეხლა არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს 522 ათასი ქალი, ე. ი. 25 ათასით მეტი კაც-ამომრჩევლებზედ ქალებს ნორვეგიაში ეხლა მეტი ხმა აქვთ და ამით თავისი ქვეყნის ბედი მათ ეჭირავთ ხელში. მაგრამ ისინი ამით არ სარგებლობენ და ჯერ მათ პარლამენტში არ არის არჩეული არც ერთი დეპუტატი—ქალი. ნორვეგიის ქალი ზომიერი და მშვიდობის მოყვარეა.

საყურადღებოა სუფრაჟისტკებისთვის!

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲖᲠᲓᲘᲚᲝᲑᲐ. იყო დრო, როცა ამერიკელებზედ ამბობდნენ, ქუდები კეფაზედ დალურსმული აქვთო, რადგანაც ისინი ჩვეულებრივ ქუდს არავის უხდიდნენ. ეხლა ისინი მეორე უკიდურესობამდის მივიდნენ. ამერიკელებს ხომ სანახევროდ არაფერი უყვართ, და აი თურმე შესდგა ამერიკელების კორპორაცია, რომლებიც ქადაგობენ, არამც თუ ნაცნობებს, დიდი და გამოჩენილი ხალხის ძეგლებსაც კი უხადონ ქუდი და თავი უკრან.

ღმერთმანი, მშვენიერი აზრია! ნეტა ჩვენშიაც შემოიღონ ეგ: იქნებ მაშინ მაინც ისწავლონ გამოჩენილ მამულიშვილთა პატივისცემა და თაყვანისცემა.

ᲔᲠᲗ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ. ნაამდვილი ამბავია. თურმე ლონდონში ერთმა ინგლისელმა მდიდარმა ფრანკ პენფილდმა, რომ დაემტკიცებინა თავისი ნაცნობებისთვის, თუ რა ძნელია ქუჩაში ხელზედ მოვაჭრეობა, გადაიცვა გლახის ძონძები, აიღო რამდენიმე ბღუჯა ათ-ათ თუმნიანებისა, გავიდა ქუჩაში, და გამვლელ-გამომვლელს აღირებდა თითო ბღუჯას ერთ შაურად.—ნამდვილი ათ-თუმნიანები თითო შაურად! აბ, გაიაფდა! იყიდეთ! სიმდიდრე შაურად!—ვიროდა თურმე მთელი დღე ფრანკი პენფილდი.

მაგრამ მთელი დღე დაღამდა, და შაური არავინ გაიმეტა, რომ მთელი სიმდიდრე მიეღო. გამვლელი შეხედავდა ხოლმე ამ „სულელს" და მიდიოდა თავის გზაზედ.

ასე ძნელი ყოფილა ქუჩაში ვაჭრობა.

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.

1894 წლიდან **1913** წლამდის

საუკეთესო ღვინოდ ითვლება ღვინო

საზოგადოება „ᲙᲐᲮᲔᲗᲘ"-სა

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ:
№ 73 და 3—51.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲒᲝᲒᲝᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ 63
ᲓᲐ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ.

ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ: ᲑᲐᲥᲝᲨᲘ, ᲐᲡᲮᲐᲑᲐᲓᲨᲘ, ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲗᲨᲘ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ, ᲑᲐᲗᲝᲛᲨᲘ, ᲠᲐᲡᲢᲝᲕᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲮ.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ-ᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ს. ᲚᲝᲡᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡᲐ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 5.